№ 253. 15 დეკემბერი, ხუთშაბათი. 1866—1883 15 დეკემბერი, ხუთშაბათი. № 253.

რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

| | |
|---|---|
| მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადებას მიიღებს ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა
მომავალს 1884 წლისათვის გაზეთს

## დროებაზედ
(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
თელავში, ვანო როსტომაშვილთან.
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.
ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.
გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»*.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | |
|---|---|
| წლით (12 თვით) — — 9 მან. | 6 თვით — — 5 მან. |
| 11 თვით — — 8 მ. და 50 კ. | 5 თვით — — 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით — — 8 მან. | 4 თვით — — 4 მან. |
| 9 თვით — — 7 მ. და 50 კ. | 3 თვით — — 3 მან. |
| 8 თვით — — 7 მან. | 2 თვით — — 2 მან. |
| 7 თვით — — 6 მან. | 1 თვით — — 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.
ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

არწრუნის თეატრი.

დღეს, 15 დეკემბერს.

მეორე კლასიკურ ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ

ქართული დრამატიული დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

I

### ადვოკატები

კომედ. 3 მოქმ. თხზ. თ. რ. ერისთვისა.

II

### დივერტისმენტი

დასაწყისი 8 საათზედ. (1—1)

## აზნაურობის მაძიებელთა თაობაზედ.

თბილისი, 15 დეკემბერს.

ძველს «დალოცვილ» დროს თავადობის, ან აზნაურობის ღირსება ძვირფასად საძიებელი საგანი იყო. დიდიხნიდგანვე მოპოებულს ტიტულს მოწიწებით თაყვანსა-სცემდენ და არიდებდენ უბრალო მოკვდავს, რომ უკანასკნელს უწმინდურის ხელის შეხებით მწიკვლი არ წაეცხო. თავად-აზნაურთ ამ არა-ნივთიერ დიდებასთან, ნივთიერი დიდებაც შესაფერი ჰქონდათ,—კარეტაზედ დახატულს ბრწყინვალე გერბს და რაშსავით მკვირცხლს «ტროიკას» ცხენებს გვერდს უმშვენებდა ათას-დესიატინობით მამულ-დედული შესაფერი ტყით, საძოვრებით და სახლ-კარ-ბინადრობით. აზნაურობა ისეთი ძვირფასი რამ ღირსება იყო, ისე კასტასავით განისაზღვრებოდა, რომ სხვა წოდების პირს მხოლოდ «დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის» ჩინთან ერთად ეძლეოდა შთამომავლობითი აზნაურობა.

ეხლა, როგორც ხმები ისმის, ეს კანონი უნდა გაუქმდეს და ჩინები ამას იქით ველარავის შეამკობენ აზნაურობის ხარისხით. რას უნდა ნიშნავდეს ეს ამბავი? ამით უნდათ, რომ აზნაურობა მაღლა ასწიონ და უფრო განსაზღრულ კასტად გადააქციონ, თუ იგრძნეს მისი უმნიშვნელობა და არ უნდათ, რომ დიდ ჩინიან ხალხს აზნაურობის ხარისხი დიდ რამედ მიაჩნდეს და მის მისაღებად თავის დამცირებაც კი იკისროს.

იქნება, ამ აზრის მომხრეთ მართლა ის სურვილიცა ჰქონდათ, რომ აზნაურობა როგორმე მაღალს წერტილზედ დაეყენებინათ, და ურიცხვ «დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკებისათვის» მოესპოთ საშუალება აზნაურობის მიღებისა; მაგრამ ამ განკარგულებას მაინც სრულებით სხვა მნიშვნელობა ექნება და ხალხის თვალშიაც დაამცირებს აზნაურობის სახელს. ხალხი იფიქრებს, სჩანს აზნაურობა ეხლა ისე დაეცა, რომ მისი მიღება ჯილდოდ აღარ უნდა ჩაირიცხოსო, და ბოლოს მართალი ამ უკანასკნელების აზრი გამოდგება.

უმთავრესი დიდება რუსეთის თავად-აზნაურობისა უწინ ყმები იყო. ყმები ჩამოერთვათ და მოაკლდათ რამდენიმე ათასი მუქთი მუშა ხელი; სამაგიეროდ თვალ-უწვდენელი მინდვრები დარჩათ და უზარ-მაზარი ტყეები. რუსეთის თავად-აზნაურობას რომ ცოტა მეტი გამჭრიახობა ჰქონოდა და მომავლის წიგნში ჭეშმარიტება ამოეკითხა, უნდა მიეყო ხელი ამ სიმდიდრისათვის, შეჰფერებოდა თითონაც ახალს გარემოებას და ბუნების აურიცხველი სიმდიდრე პირ-და-პირ მიწიდამ ამოელო. ამ საქმეს ბევრი წვალება უნდა და საწვალებლად თავად-აზნაურობა არ იყო მომზადებული. სოფელში ჯდომას და მეურნობისათვის ხელის მოკიდებას მის წევრთა დიდ ქალაქებში ცხოვრება არჩიეს და თავიანთ მამულებს «მოურავები» დაუყენეს, რომელნიც მამულის შემოსავალს პატრონებს უნახევრებდენ. რა თქმა უნდა, რომ მამულის გაკეთებაზედ ზრუნვა ამ გვარს გარემოებაში თავში არავის მოუვიდოდა: გამორჩი, ვიდრე გამორჩენა შეიძლებოდეს,—ეს იყო ამ მოურავების დევიზი და მართლაც მალე დიდროვანი ტყეები გაღიჩეხნენ, ნაყოფიერი მიწა უნაყოფო შეიქმნა, სახლ-კარ-მოწყობილობა გაჰვერანდა და ყოველს მტკაველს მამულისას უპატრონობა დაეტყო.

ამ გვარი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა; ტყის მოიჯარადრეთ სხვა უფრო ხელ-შეუხებელს ტყეებს მიმართეს, მოლალე გლეხ-კაცებმა—სხვა ჯერედ კიდევ ნაყოფიერ, მიწებს და მამულის შემოსავალმა იკლო. თავად-აზნაურობა ვალებში ჩავარდა, მოვალედ ისევ თავისი მოურავები გაუხდენ და ვაჭრობითა და ათას გვარ ხრიკებით გამდიდრებული, მეცხრამეტე საუკუნის ღვიძლი შვილი, ფულიანი ხალხი.

დრო რაინდობისა, დრო სილარიბით ამაყობისა ჩაბარდა ისტორიას და ეხლანდელს საუკუნეში ღირსებასაც იმას ანიჭებენ, სინიდისიერათაც იმას ჰხადიან, პატივსაც იმასა სცემენ, ვისაც ფულით შეუძლიან ყოველ ამ

---

«დროების» ფელეტონი, 15 დეკემ.

ყოვლად უსამღვდელოესის გაბრიელ ეპისკოპოზის იუბილეის გამო, თელავის სასულიერო სასწავლებელს შემდეგი ადრესი გაუგზავნია მისთვის:

«ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, უმოწყალესო მღვდელთ-მთავარო და მამაო!

«აწინდელს მრავალ-მნიშვნელოვანს დღეს, როდესაც გსურთ თვალი გადაავლოთ ყოველივეს, რასაც ჰფიქრობდით და გრძნობდით, რაც გამოგივლიათ, გიშრომიათ და გილვაწნიათ თქვენს ხანგრძლივ და ნაყოფიერ მოქმედების დროს, დღეს, როდესაც დაწესებულებანი თუ კერძო პირნი, შეკავშირებულნი თქვენთან მრავალ ნაირი ძვირფასი მოგონებით, გიცხადებენ თქვენ ღრმა პატივისცემას და თანაგრძნობას,—სასულიერო სკოლა:—თელავის სასწავლებელს არ შეუძლიან განზედ გადგეს და მხურვალე მონაწილეობა არ მიიღოს საზოგადო პატივისცემაში და თანაგრძნობაში თქვენდამი, თქვენი 25 წლის ღვაწლიანი მოქმედების დღესასწაულობის გამო.—სასულიერო სასწავლებელი არის თქვენი გულის ერთი უმახლობელესი საგანთაგანი, აღიზარდენით მასში, განვლეთ დაბალი და მაღალი მისი კლასები, დაასრულეთ სწავლა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში და მის სარგებლობას შესწირეთ უკეთესნი წელნი თქვენის სიცოცხლისა.

«პირველნი წელნი სამშობლოს სამსახურისა შესწირეთ თქვენ თბილისის სასულიერო სემინარიას, როდესაც ძალნი თქვენნი იყვნენ ახალნი, ნიჭიერებანი ცხოველნი და როდესაც თქვენს ახლად მოწიფებულს სულს ფრიად სწყუროდა ნამდვილი სიკეთე და ბედნიერება არა სანატრელ მდგომარეობაში მყოფთ მოწაფეთათვის. იქმენით რა დანიშნულ აღნიშნულ სემინარიის ინსპექტორად, თქვენ შემოიღეთ ის აღზრდის მეთოდი, რომელზედაც შეეძლოთ ეფიქრნათ მაშინ გამჭრიახ გონების მქონეთა და მით ჩაუდგით მას სული და მიეცით ძალა. თბილისის სასულიერო სემინარიის ისტორია ჯერ არ დაწერილა, მაგრამ თქვენს სახელს გამოჩენილი ალაგი უჭირავს მის არხივის ტომებში. რაც არხივში არ მოიპოვება, იგი ივსება ცხოველი ზეპირ-გარდმოცემით. ეს გარდმოცემა გვეუბნება, რომ ინსპექტორობის დროს სემინარიაში, თქვენ ყოველს ღონისძიებას ხმარობდით შევეტანად სწავლა-აღზრდაში ახალი რამე და არ დაადექით იმ გაცვეთილ და ყრმათათვის მავნებელ გზას, რომელზედაც დაიარებოდენ თანა-მედროვენი; ასრე იქცეოდით არა თქვენი თავის ამაო დიდებისათვის, რომლისაგანაც თქვენ შორსა ხართ, არამედ ახალ-თაობის გულითადი სიყვარულისა და თანაგრძნობისათვის. სხოლასტიკურად ფსიხოლოგიის სწავლების დროს თქვენ ერთად-ერთმა შემოიღეთ ახალი მეთოდი ფსიხოლოგიის სწავლებისა და შეადგინეთ გამოცდილებაზედ დამყარებული ფსიხოლოგია, რომლითაც ასე გაუადვილეთ მოსწავლეთა ამ მეცნიერების გონივრულად შესწავლა.

«ნებითა ღვთისათა მოწოდებულნი იმერეთის კათედრაზედ, თქვენ არ დაშორებულხართ სასულიერო სასწავლებელს. მეცნიერებანი: ღვთის-მეტყველება, ფილოსოფია, ისტორია,

სასიამოვნო საგნის შეძენა, და, რა თქმა უნდა, რომ, როდესაც ფულიანს ხალხს ეს ყოველიფერი ემატება, ვალებში ჩაცვენულს და გაღატაკებულს თავად-აზნაურობას ღირსება აკლდება და ჩამომავლობით ამაყობა უდროო და შეუფერებელი საგანი ჰხდება.

ახლა ცხადია, რისთვისა ვთქვით ზემოთ, რომ თუ დიდ ჩინიანებს მოესპობათ საშუალება აზნაურობის ღირსების მიღებისა, ეს კიდევ ახალი ნიშანი იქმნება თავად-აზნაურობის დამცირებისა, ხალხიც ასე შეხედავს და თუ ამ საქმის მოთავეთ ამ საშუალებით გულში აზნაურობის ღირსების გაზვიადება ედოთ, მალე დაინახავენ, რომ შესცდენ და მარჯვნივ გახვევის მაგიერად, მარცხნივ გაუხვიეს.

## შინაური ქრონიკა

თბილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიაში, როგორც თვით ამ გიმნაზიის მმართველობა აცხადებდა, თვრამეტი მოწაფე გამოირიცხა სწავლის ფულის შეუტანელობისათვის. ეს მოწაფენი თუ 16 დეკემბრამდე შეიტანენ ამ ფულს—სულ 270 მანათს—ისევ მიიღებიან. ეს ამბავი თვით ოფიციალურს გაზეთს «კავკაზშიაც» იყო გამოცხადებული, და ჩვენს საზოგადოებაში თანაგრძნობა გამოიწვია იმ ახალგაზდა ყმაწვილების ბედმა, რომელთაც მცირედის ფულის შეუტანელობისათვის იქნება სამუდამოდ მოესპოთ ღონის-ძიება სწავლის გაგრძელებისა. დღეს, ხუთშაბათს, ქართული თეატრის დასი მართავს ამ ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ წარმოდგენას და იმედია, რომ ამ გზით თუ ყველა მოწაფეებს არა, ზოგიერთებს მაინც კვალად გაეღებათ «კარი სიბრძნისა». წარმოადგენენ თ. რაფ. ერისთავის კომედიას «ადვოკატები» და დივერტისმენტს გამართვენ.

ფოთიდამ გვწერენ, რომ იქ ნავთ-სადგურზედ ეხლა უფრო გაჩქარებულნი მუშაობენო. ამბობენ, რამდენიმე ხნის შემდეგ შენებას მორჩებიან და მერე ამოწმენდას შეუდგებიანო. როდის იქნება, რომ ეს პენელოპას ნაქსოვად გადაქცეული ფოთის ნავთ-სადგური მართლა დასრულებას ეღირსოს...

შორაპნიდამ ერთი გლეხი გვწერს: «გაჩნდა ჩვენში შავი-ქვა და სწორედ «შავ-ქვად» გადაიქცა გლეხკაცებისთვის. ჯერ არის და იმის გულისთვის საჩხერესკენ გზას გვაკეთებინებენ,—გზა კარგი რამ არის, ვინ ამბობს, მაგრამ ხათაბალა ის არის—ეს გზა ისეთი ძნელი საკეთებელია, რომ, გვგონია, ჩვენი შვილისშვილებიც ვერ მოესწრნენ მის დასრულებას. ამას გარდა ყოველ წლივ გზაზედ ხუთ-ხუთი კვირა უნდა ვიმუშაოთ და ხანდისხან «ცეცხლის-კიდება» დროს. მუშაობაზედ რომ მივდივართ, რასაკვირველია, საგძალიც თან უნდა წავიღოთ, მაგრამ ძნელი ეს არის,—ჩვენებური მჭადი დილით რომ გამოაცხო, სალამოთი აღარ ვარგა და, წარმოიდგინეთ, ერთი კვირის გამომცხვარი რა უნდა იყოს! გზაზედ გარევას არა ვჩივით, ნეტავი პურის ფული მაინც გვეძლეოდეს, რომ ცივი მჭადის მაგივრად პური ვჭამოთ ამისთანა ძნელ მიწის მუშაობაში.

დღეს «დროების» რედაქციის ზალაში ჩვეულებრივი ტერმინოლოგიის კრებაა.

თავის ქება კიტრათა ღირს. შაბათს, 10 დეკემბერს, გაზ. «კავკაზის» რედაქტორის თ. დ. ერისთვის თაოსნობით გამართულ-იქმნა კონცერტი წმ. ნინოს ქალების სასწავლებლის სასარგებლოდ. ამ კონცერტის თაობაზედ «კავკაზში» დაბეჭდილია რედაქციის მხრივ შემდეგი შენიშვნა:

«წმიდა ნინოს ქალების ქველ-მოქმედი საზოგადოების თავს-მჯდომარემ მიიღო თავადი დავით გიორგის-ძე ერისთვისაგან 1006 მანათი ფული, რომელიც წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ მისგან გამართული სამუსიკო და სალიტერატურო სალამოსაგან შემოვიდა. გარდა იმისა, რომ ეს შესამჩნევი შემწეობა სწორედ საჭირო იყო ამ ჟამად წმ. ნინოს სასწავლებლის დაუსრულებელი შენობისთვის, სასიხარულოა კიდევ ის, რომ თავადი დავით გიორგის-ძის აზრი შესახებ ამ დაწესებულების შემწეობისა, თბილისის საზოგადოებამ მიიღო სრულის თანაგრძნობითა, რაიცა დამტკიცდა როგორც იმით, რომ თეატრის დარბაზი სავსე იყო წარმოდგენის ნახვის მსურველებითა, აგრეთვე იმითაც, რომ ამ არტისტულად და ყოვლისფრით სრულად მოწყობილმა სალამომ მშვენივრად გაიარა. თავს-მჯდომარე და რჩევა წმ. ნინოს საზოგადოებისა თავის გულითადს მადლობას უცხადებენ თავადს დავით გიორგის-ძეს ნივთიერი შემწეობისთვის, და ამასთანავე არ შეუძლიანთ მათ არ გამოაცხადონ თვისი განსაკუთრებითი თანაგრძნობა თავადის განზრახვისა და თაოსნობისადმი ამ სასარგებლო საქმეში».

## «დროების» კორესპონდენცია.

—

გორი, დეკემბრის 7, წარსულის ომიანობის დროს, ყველა მკითხველმა იცის, რომ ჩვენს საქართველოში ვაჭრებმა ხორაგეული ერთი-ორად გახადეს. თუ ჰკითხავდა ვინმე გამსყიდველსა ამ გვარს გაუგონარს ფასებზე, მაშინვე მედუქნეები მიუთითებდენ მოუსავლობაზე, ომიანობაზე, კალიის მოსვლაზე და სხვა ამ გვარ მიზეზებზე. ჩვენც ძალა უნებურად შევეჩვიეთ ამ სიძვირეს და გამოვიტანეთ თავი დღევანდლამდე, როგორც იყო. დღეს ყველას გვთილის თვალი ჰხედავს, რომ მოსავალიც კარგია, ომიანობაც აღარ არის და კალია ხომ სულ გაწყდა. ამასთანავე მომსწრეც არავინ არის ამისთანა კარგის მოსავლისა, როგორიც წრეულ იყო; ეხლა რაღა უნდა სთქვას გამსყიდველმა, რომ ისევ მაშინდებურად სიძვირეა. მგონი, არა აქვთ რა სათქმელი იმის მეტი, რომ აღარავის მორიდება და შიში აღარა აქვთ,—ჩვენს თვით-სამმართველოსა სძინავს და მაყურებელი არავინა ჰყავს ბაზარს. ამა წრეულ ერთხელ დაუთვალიერებიათ ბაზარი ქალაქის პატრონებს? ერთხელ გაუსინჯავს ბატონ მაზრის ექიმს ტერ-მინასოვს ბაზრის ხორაგი? ვინ იცის, რამდენი იყიდება აყროლებული და გაფუჭებული! ერთხელ მოუგალვინებიათ ბაყლების სასწორის დაყანგებული თეფშები? ერთხელ გაუსინჯავთ მიკიტნის ქვაბები და საწყაოები, რომელნიც ხალხს ყანგითა სწამლავენ? ერთხელ გაუსინჯავთ ხაბაზის პური, რომელიც ცომსავითა ცხვება? ერთხელ გამოუწონიათ ნავთის საწყაოები და საწონები? ჰფიქრობს ვინმე ქალაქის გასუფთავებაზედ, რომლის ქუჩებში ისეთი ტალახია, რომ ბილიკზედაც კოჭებამდის დადის კაცი, და ბილიკს თუ ფეხი გადაუცდა, მუხლებამდის ჩაიფლობა? ჰფიქრობს ვინმე ხიდზედ, რომელზედაც იჯარადარი კ—ვი ერთი-ორად ახდევინებს ხალხს? ანთია რიგზედ ფარნები ქალაქში? ჰყავს გორის სასწორს პატრონი? ჩარჩები ქალაქ გარეთ უხვდებიან მომტანს და იქ ყიდულობენ. თუ შემომტანა მოასწრო გლეხმა, რაკი დილით ყიდვა ჩარჩისგან აკრძალულია, ჩუმად ბეს მისცემენ და თორმეტი საათი რომ შესრულდება, მაშინ აიწონენ და თვის საწყობში გააქანებენ, მერმე გამოიტანენ და ერთი ორად ჩვენზედ ჰყიდიან. ვინ არის ამის ყურის-მგდები, რომ თვით სასწორის იჯარადრები და მყვლეფავი ჩარჩები გლეხებს წინაში ჰპარავენ? ან როგორა კმარა სასწორის მაყურებლად ბაზარნიკი ნ., რომელსაც ერთი აბი რომ ჩააყლაპონ თავის მამას გაჰყიდის, რომელზედაც მრავალი საჩივრებიც არის შეტანილი? ამისთანა საცრცვავ ადგილას თვით-სამმართველოს არ უნდა ჰქონდეს ყურადღება მიქცეული? ორი ძმა მოიჯარადრე დ—ები მცხოვრებლებს შეშას პირიდამ აცლიან და სადაც შეკრულნი არიან, იქ აძლევენ და ამის გამო ხალხში შეშის სიძვირე ჩამოვარდა. არავინ არის ამაზედ ხმის-ამომღები, იმიტომ რომ დ—ვი შეძლებულია, და ღარიბმა დურგალმა, რომ 12 საათზედ ადრე ერთი ხე იყიდოს თავის მასალისთვის, სამმართველო აქტს შეუდგენს (სასამართლოში ამ ნაირი აქტები მაინც

---

სასულიერო ლიტერატურა საზოგადოდ და ქართული განსაკუთრებით მარადის იქცევდენ თქვენს ყურადღებას.

ბევრი ღვაწლი, ბევრი ამაგი მიგიძღვით იმერეთის ეპარქიისადმი, ბევრი სიკეთე გიქნიათ მისთვის. ფაქტები თვალწინა გვაქვს. 25 წლის იმერეთის ეპარქიის გამგეობის დროს თქვენი ენერგიით გააკეთეთ ის, რასაც სხვანი თქვენს ადგილს უფრო ხანგრძლივს დროსაც ვერ მოასწრობდენ. თქვენ მოციქულებრივ მოღვაწეობაზედ თავის-თავად ღაღადებენ ხშირნი მიმოსვლანი ვრცელ თქვენს ეპარქიაში, სადაც მისდევდით ივერიის მოციქულთა: ანდრია პირველ-წოდებულის და სიმონ კანანელის კვალსა და მათგან დაწყობილს ქადაგებას აგრძელებდით და ამ ნაირად ავრცელებდით ქრისტეს სწავლასა მიუდგომელ სვანეთში და განთქმულ კლასიკურ კოლხიდაში, სადაც არგონი ეძიებდა ოქროს მატყლოვანს. თქვენ ეძიებდით არა ქვეყნიერ საუნჯეს, არამედ ზეციერ ნიადაგს დასანერგავად ჭეშმარიტისა სწავლისა. ამისთანა დაუღალავი თქვენი მისიონური მოქმედების შედეგი იყო მაჰმადიანების მართლმადიდებელ სარწმუნოებაზედ ასობით და ათასობით მოქცევა. როგორც მწყემსი კეთილი, მჭევრმეტყველური თქვენი სიტყვებით და მოძღვრებით განუმარტებდით ხალხს ქრისტიანობის დოგმატთა, შთააგონებით მას და დააყენებდით ჭეშმარიტს გზაზედ. თქვენი «სიტყვანი და მოძღვრებანი» საუკეთესო ნიმუშნი მჭევრმეტყველობისა და სიმარტივისა, ღრმა-აზროვანნი და მდიდარნი მრავალ-გვარი შინაარსით, განათლებული ჩვენი საზოგადოებისაგან აღტაცებით მიღებულნი, დაუღუმებლად მოწმად იქნებიან თქვენი მრავალნაყოფიერი მოციქულებრივი ღვაწლისა.

არ დარჩენილა სოფელი, არ დარჩენილა ეკლესია, რომელიც არ გაბედნიერებულიყოს თქვენი მისვლით და ნახვით. მიმოსვლის დროს, თქვენ არა კმაყოფილდებოდით მარტო ეკლესიების განჩხრეკით, ცდილობდით გაგეცნოთ სამღვდელოების შინაური მდგომარეობაც, რომ შეძლებისა-დაგვარად გაგეუმჯობესებინათ იგი. აგრეთვე, უმთავრესს თქვენს საზრუნავს მიმოსვლის დროს შეადგენდა იგი, რომ აღგეგზნოთ ხალხში სიყვარული განათლებისადმი. თქვენის ძლიერი სიტყვით და მშობლიური შთაგონებით აშენებდენ, ამშვენიერებდენ ეკლესიებს, ხსნიდენ სკოლებს, და ამრიგად სთესდით და ავრცელებდით ხალხში სწავლა-განათლებას. ბევრი ღვაწლი დასდეთ თქვენი 25 წლის შეუმწიკვლელი სამსახურით და დაუღალავი შრომით სწავლა-განათლების საქმეს.

თქვენი დაუცხრომელი ზრუნვის და ღვაწლის წყალობით სასულიერო სასწავლებლები თქვენის ეპარქიისა სავსეა განათლების მსურველებითა. ამ გარემოებამ გამოიწვია სასულიერო სემინარიის დაარსების საჭიროება. თქვენ განიზრახეთ ქ. ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსება და მხიარულებით აღვავსეთ ჩვენ, რადგანაც დარწმუნებულნი ვართ, რომ ყოველ ღონის-ძიებას იხმართ ამ აზრის განხორციელებისათვის. საგანი და სარგებლობა სასულიერო სემინარიის დაარსებისა ისე თვალსაჩინოა, რომ იგი არ მოითხოვს ჩვენგან რაიმე განმარტებას. სასულიერო სემინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოყობით აწყვია). თავში არავის მოსდის, რომ არხიტექტორს ბაროკვსკის ცუდი პლანების მიცემით გორის ქუჩები დაგრეხილი აქვს. ხალხის საჩივრის გამო ბევრჯერ მოვიდა ქალაქიდამ უფროსი არხიტექტორი და შენიშვნაც მისცა გუბერნატორმა უწესო მოქმედებისთვის. გორის საუკეთესო ქუჩებისთვის ჰფიქრობს ვინმე, რომ გაზაფხულზედ ლიახვმა ესეც არ წაიღოს? საშიშია, რომ რკინის ხიდი, რომელსაც ძლივს ველირსეთ, გაღმით არ დააგდოს. მაშ რისთვისა გვყავს ქალაქის პატრონები, თუ ამ მძიმე საქმეებისათვის არ იფიქრებენ? ქალაქის ხმოსნებს მაშინ ნახავთ, როცა არჩევის დრო არის, დანარჩენს დროს სამ თვეში ერთხელ ძლივს მოიყრიან თავსა, ისიც მალის მალადობით. გამგეობაც, რაც შეუძლიან, მწერლების რიცხვს უმატებს, რომ კარგად აჭკინძონ საქმეები და ხატვით თაყვანის-საცემლად რიგზედ დაასვენონ «Дѣло»-ები. ჩვენ გვინდა საქმე და არა ფორმალისტობა; ამდენ უწესოებასთან ყოველ ღამე დუქნები იმტვრევა და ქურდები თამამად დაბძანდებიან. ჩვენ პოლიციელებს არა სცალიანთ: კრუჟოკში ბძანდებიან და დესეტნიკები თითო იქ ახლათ და თითო მათ სახლობას ლოტოზედ.

აი კიდევ ფაქტი თვით-სამმართველოს ზრუნვისა: იმ თვეში გირვანქა ცხვრის ხორცი 7 კაპეიკი იყო. ტაქსა, თვით სამმართველომ 9 კაპ. გახადა, მაგრამ ყასბები კი ისეთი გულ-კეთილნი არიან, რომ ისევ შვიდად იხვეწებიან. ესეც სამმართველოს კარგი თაოსნობაა — ყასაბი შვიდად ჰყიდის და სამმართველო ცხრას აძლევს...

## ფეოდალიზმი ოსეთში

მე-X საუკუნე ოსეთში იყო საუკუნედ მრავალ-გვარი საძაგელი მოქმედებისა, ავაზაკობისა, ცარცვა-გლეჯისა და სხვ. ეს საუკუნე ის დროა, რომელშიც მეფობდა ეგრედ წოდებული «ოსობა». თითქმის ძმა ძმას აღარ ინდობდა მოსაკლავად; მთელ მხარეში გავრცელებული იყო ქურდობა და ავაზაკობა; საწყალი და «ტანჯული» ქართლი ხომ სულ აოხრებული იყო ოსებისაგან!... მაგრამ გავიდა მე X საუკუნე და დადგა მე-XI. ამ საუკუნეში ოსეთი წინ მიდის. ამასა ჰყავს თავისი ხელმწიფე, აქვს დედა-ქალაქი *) და მთელ მხარეში გავრცელებულია ქართული წერა-კითხვა. დიდებულ სახელმწიფოებს: ივერიას და ბიზანტიას აქვს ახლო კავშირი ოსების მეფეებთან და სხვ.**)

მე-XI საუკუნეშივე იწყება ოსეთში ფეოდალიზმი.

საქართველოში ფეოდალიზმი იწყება თითქმის მე-VI საუკუნეში. ქართველი ფეოდალები უფრო მძლავრნი იყვნენ, ვიდრე ოსებისა, ამიტომაც პირველნი იმორჩილებდენ უკანასკნელებს და ართმევდენ, რასაც მოინდომებდენ. აქედამ ქართველებმა ნელ-ნელა დაიწყეს დაპყრობა ოსეთისა...

ოსეთში ბევრი ყაჩაღი (აბრაგ) გახდებოდა ხოლმე ფეოდალად. რამდენიმე აბრაგი შეიკრიბებოდენ ხოლმე ერთად, დაეცემოდენ რომელსამე კოშკს, კლავდენ მასში მყოფ ფეოდალს და თითონ იმის ალაგს იჭერდენ.

როდესაც მთელი ოსეთი დაჭერილი იყო ფეოდალებით, მათში ატყდა ლაპარაკი, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს პირველობა. პრეტენდენტებათ იყვნენ: ბაგრატიდები, მაჩაბლები, სიდამონები, ერისთვები, ბორაშვილები და სხვ. ეს საგანი დიდი ხანი დარჩა გაურჩეველად, მაგრამ ბოლოს დიდებულმა ტომმა ბაგრატიდების გვარისამ აჯობა ყველას და დაიჩემა ტიტული «მთავარისა». ყველა ფეოდალები უნდა დამორჩილებოდენ მას, და როდესაც გაჭირვება ითხოვდა, მათ (ესე იგი ფეოდალებს) უნდა შეეკრიბათ ჯარი.

ფეოდალიზმი ოსეთში დაიწყო ქართლის და აფხაზეთის მეფის გიორგი I დროს. გიორგის ჰყავდა ცოლად ოსების ხელმწიფის ქალი, სახელად ალდა *).

როდესაც გარდაიცვალა მეფე, ალდა გარდავიდა ბიზანტიის იმპერატორთან რომანოზთან და გარდასცა აფხაზეთში ანაკოფია**). ალდა თავის პატარა შვილით დიმიტრით (რომელიც ჰყავდა მეფე გიორგისაგან) სცხოვრებდა საბერძნეთში. მაგრამ გიორგის ჰყავდა პირველი ცოლისაგან მეორე შვილიც ბაგრატ IV, მეფე ქართლისა და აფხაზეთისა (1027—1072), რომელსაც ცოლად ოსების ხელმწიფის დორგულელის და ბორენა ჰყავდა. შემდგომ დიმიტრის უნდოდა ძმისთვის სამეფო ტახტი ჩამოერთმია, მაგრამ აღარ დასცალდა. დიმიტრის დარჩა ანაკოფიაში შვილი დავითი, რომელიც გაიქცა ოსეთში***). დავითის შვილი იყო ათონ, ათონის შვილი ჯადარონ, ჯადარონის შვილი დავით სოსლანი, თამარ-მეფის ქმარი.

პირველი ხელმწიფე ოსებისა, ფეოდალიზმის დროს, იყო ორდურე. როდესაც კახეთში მეფობდა კვირიკე დიდი (1010—1029), ორდურე გარდავიდა კახეთში და ააოხრა მთელი მხარე. მაგრამ კვირიკემ დაამარცხა ოსების ჯარი და თითონ ორდურე მოკლული იყო კახელებისაგან. შემდეგ, როდესაც კვირიკე განსცხრებოდა ერთ მთაზე ნადირობის შემდეგ, ერთმა ტყვედ დაჭერილმა ოსმა მოჰკლა იგი*).

მე-XI საუკუნის დამლევს ოსებს მეფეები აღარა ჰყავდათ და მთელი მხარე გაიყო რამდენსამე ნაწილად.

ამ დროს მთელი ოსეთი სავსე იყო კოშკებითა, რომლებშიაც ისხდენ რაინდები და ატარებდენ დროს ლხინში, როგორც ოდესმე ყოფილა საფრანგეთის და გერმანიის კოშკებში.

ბოლოს, როდესაც ფეოდალების მმართველობა მეტის-მეტად გაუძნელდა ხალხს, ოსეთში მოხდა საშინელი რევოლიუცია, რომლის შედეგიც ფეოდალიების მოშორება იყო. მთელ მხარეში გაბრაზებულმა ხალხმა დაანგრია რაინდების კოშკები და მოიცილა თავიდამ აუტანელი ყმობა. მაგრამ მაჩაბლები კიდევ მე-XVIII საუკუნემდე დარჩნენ და ეხლაც ზროგის ხეობაში მათ აქვთ მამულები...

გიორგი ჩოჩიშვილი.

*) ზოგნი ჰფიქრობენ, რომ ოსების დედა-ქალაქი, რომელსაც ერქვა «ალანია», იმყოფებოდა ჩრდილოეთ ოსეთში, ეხლანდელ სოფ. ლამის ადგილას, იმიტომ, რომ ამ სოფელში მრავალი შენობის ქვა იმყოფება. Сборникъ свѣд. о кавказ. горцахъ, в. V, стр. 42.

**) ბიზანტიელ იმპერატორებს, კომნენების გვარისას, მიხეილ დუკას, ისააკს და ალექსის ოსის ქალები ჰყავანდათ ცოლებად (Stritter. Metoriae popular. IV 352, прим. g.

*) Histoire de la Géorgie, M. Brosset, I, page 315.

**) Ibidem. იხ. აგრეთვე Исторія Грузіи кн. Баратова, Ш, 56.

***) Histoire de la Géorgie. M. Brosset, t. I, page 321.

*) Ibidém, II, I partie, page 143.

## სხვა-და-სხვა ამბები.

საოცარი თხოვნა. ამ დღეებში ვიქტორ ჰიუგოსთან მორმონებს მიუგზავნიათ დეპუტაცია და თან გაუყოლებიათ ორი ახალგაზდა, მშვენიერი გასათხოვარი ქალი. ეს მშვენიერი ქმნილებანი დეპუტატებმა წარუდგინეს გამოჩენილ პოეტსა და უმორჩილესად სთხოვეს, რომ ისინი ცოლებად დაისხას ჰიუგომ და ამისთანა უცნაური საშუალებით, მორმონის ხალხს გარდასცეს რამ ნაწილი თავისი მაღალი ნიჭიერებისა. ამაზედ ჰიუგომ დეპუტატებს, რასაკვირველია, მაღიან დიდი მადლობა გამოუცხადა და უპასუხა: «ცოტა წინ რომ ყოფილიყო, მე უეჭველად შემაცდენდა ამ გვარი დასახარბებელი წინადადება; მაგრამ ეხლა, ამ სიბერის დროს კი, ჩემთვის მოუხერხებელია ჩემი აზრების

რია იქცევა ისეთი ისტორიული ძეგლი, რომელიც გარდასცემს შთამომავლობას თქვენს მისთვის ფრიად სასარგებლო მოქმედებას, და თქვენი სახელი აღმოუფხვრელად იქნება შთაბეჭდილი მის ხსოვნაში; იგი ყოველთვის მოწიწებით და მასთანავე ამაყად წარმოსთქვამს თქვენს სახელს.

განუსაზღვრელი კაცთ-მოყვარეობა თქვენი აღმოჩნდა იმაში, რომ მუდამ ზრუნავდით ქვრივ-ობოლთა სასარგებლოდ. ვინ არ იცის ჩვენი სამღვდელოების მწარე და მძიმე ხვედრი საზოგადოდ და იმის დაობლებულთა ოჯახთა კერძოდ? ვინ არ იცის, რა უფსკრული სიღარიბე მოელით დაობლებულთა სამღვდელოთა შვილთა და მასთან ვინ არ იცის, რა გამხრწნელი ზედ-გავლენა აქვს სიღარიბეს კაცის ზნეობრივ მხარეზედ? მეორეს მხრით, ვინ არ იცის, რა მცირეა იმ პირთა გუნდი, რომელნიც მხურვალე მონაწილეობას იღებენ სამღვდელოების ბრძოლაში ულმობელ მტერ—სიღარიბესთან! ვისაც გამოუცდია სიღარიბე, ან გაუცვნია ქვრივობრის ყოფა-ცხოვრება, იმას ექნება წარმოდგენილი, თუ რა ძნელია ეს ხვედრი; ამიტომ ის პირნი, რომელნიც ცდილობენ გაჭირვებულთა შველას, უნდა ითვლებოდენ ჭეშმარიტ კეთილ-მოქმედებათ: თქვენ, დაუვიწყარო მღვდელ-მთავარო, სრულიად შეგნებული გქონდათ არა სანატრელი მდგომარეობა სოფლელ სულიერთა მწყემსთა და ამიტომ თქვენი კეთილ-მოქმედი ხელი ხშირად დაღლილი რთული ვალდებულების აღსრულებით, არა ცხრებოდა და უხვად ურიგებდა წყალობას სამღვდელოების ქვრივ-ობოლთა. თქვენ მამობრივი გულ-მოდგინებით ზრუნავდით და ზრუნავთ ობოლთა განათლებაზედ, უჩენდით და უჩენთ მათ ცხოვრების საშუალებასა, რომ იგინი არ გამხდარიყვნენ და არ გახდნენ საზოგადოების მძიმე ტვირთნი. და აი თქვენმა დაუცხრომელმა ზრუნვამ ობოლთა სასარგებლოდ დააწესა სტიპენდიები და ამ გვარად მისცა გლახაკთ საშუალება განათლების მიღებისა!

თქვენი მრავალ-გვარნი ღვაწლნი ჩვენგან არ არიან ჯერედ სრულიად შეგნებულნი და ნავრძნობნი; ჩვენ გამოვთქვით მხოლოდ მცირედი ნაწილი იმ ფიქრებისა, რომელნიც იყვნენ გამოწვეულნი თქვენის მოგონებით. სრულად თქვენს მოქმედებას დააფასებს შთამომავლობა.

მიიღეთ, უმოწყალესო მღვდელ-მთავარო, მილოცვა თელავის სასულიერო სასწავლებლისაგან თქვენთვის და ყველასთვის მრავალ მნიშვნელოვანი დღის გამო და მასთან წრფელი ჩვენი სურვილი, რომ ყოვლად წმინდა ღვთის-მშობელმა ქალწულმა მარიამმა, რომლის წილ-ხდომილსაც თქვენ განაგებთ, და მრავალ მოწყალე ღმერთმა სიყვარულისამ და სიმშვიდისამ, რომელსაც თქვენ ემსახურებით განათლების ასპარეზზე, როგორც მღვდელთ-მთავარი, გარდაგიხადოთ ასეულად თქვენი კაცისადმი სიყვარული და განაგრძოს სამშობლოსთვის ძვირფასი სიცოცხლე თქვენი «მრავალჟამიერ».

ამ ადრესზედ ხელი უწერიათ ზედამხედველს ნიკოლოოზ მთვარელიშვილს, ზედამხედველის თანაშემწეს გიორგი საძაგლოვს, მასწავლებელთა: ქრისტეფორე ზარაფოვს, ილია ზარაფოვს, სვიმონ რცხილაძეს, ივანე კაპანაძეს და იოსებ ელიოზის-ძეს.

და ნიჭის გავრცელება მაგისთანა მაცდური საშუალებითაო».

—

ინგლისურ გაზეთ «ვორლდ»-ში მოყვანილია, თუ რა ნაირად მიიღებს ხოლმე ვისიმე სიკვდილის ამბავს სხვა-და-სხვა ხალხი. ფრანცუზები მაშინვე იკითხავენ ხოლმე: «რამდენი წლისა იყო ცხონებული»? ნემეცებმა უნდა იკითხონ: «საწყალი, რითი მოჰკვდარაო»? ამერიკელი იტყვის: «დასწყევლა ღმერთმა! მლიკს არ მოკვდაო»! იტალიელი ამბობს: «აი, ეხლა ის ბედნიერიო—მუშაობა აღარ მოუნდებაო». გოლანდიელმა უნდა შეიტყოს: «რა ერთი ფული დარჩა ცხონებულსაო»? ინგლისელი იკითხავს: «მზღვეველ საზოგადოებაში ჰქონდა თუ არა შეტანილი თავისი სიცოცხლეო?»

როგორცა ჰხედავთ, მოხსენებულ გაზეთს მალიან ბევრი ხალხის მოთქმა სცოდნია, გარდა ქართველებისა. ამიტომ ჩვენ დავაგვირგვინებთ მის საქმეს და მივუმატებთ ამ საინტერესო ცნობებს ჩვენებურს მოთქმასაც. უწინ ვისმე სიკვდილზედ ქართველი იტყოდა—«ვაი საწყალიო»? ეხლანდელ დროებაში კი: «ვაი, ჩემო ოცო თუმანო დაღუპილოვო»!

—

სამი წლის კაინი. პარიჟის გაზეთ «სოლეილ»-ში ვკითხულობთ ნამდვილ ფაქტს: სამი წლის ბავშვს გული მოზდიოდა, რომ დედას უფრო მალიან უყვარდა უმცროსი, წლი-ნახევრის შვილი, ვიდრე ისა. ამის გამო უფროსმა მმამ, როგორც მისმა მზგავსმა ბიბლეურმა კაინმა, უმცროსი სასიკვდილოდ დასჭრა დანით, და ზანდუკს უკან დამალა. როცა ჰკითხეს—სად არის შენი მმაო? იმან უპასუხა—ჩემთვის ხომ არ მოგიბარებიათ, ვინ იცის, იქნება კიბეზედ ჩაიჩეხაო. მხოლოდ მაშინ აღვიარა თავისი დანაშაული, როდესაც მამამ დაუწყო ჯავრობა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

13 დეკემბერს.

სოფია. მთავარმა ალექსანდრემ დაამტკიცა სახალხო კრების გადაწყვეტილება შესახებ იმისა, რომ ტირნოვის კონსტიტუცია მოქმედებდეს სამის წლის განმავლობაში და ამ ვადის შემდეგ შესდგეს დიდი სახალხო კრება. ამ უკანასკნელმა უნდა საბოლოო გარდაწყვეტილება დაადგინოს შესახებ კონსტიტუციის იმ ცვლილებებისა, რომელნიც აწინდელმა კრებამ მიიღო.

პალატაში შეტანილია ახალი კანონის პროექტი შესახებ სახალხო მილიციისა.

პეტერბურგი. ჟანდარმების კორპუსის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი კანტაკუზინი უვადოდ დათხოვნილ-იქმნა და სამსახურიდამაც გამოირიცხა; როგორც ისმის, თავადი კანტაკუზინი დაინიშნება ბულგარიის სამხედრო მინისტრად.

პარიჟი. მარკიზი ძენგი გუშინ ინგლისში წავიდა.

14 დეკემბერს.

კიახტა. პრჟევალსკის ექსპედიციამ ურგაში 60 აქლემი იშოვა და სამხრეთისკენ წავიდა.

სოფია. რუსეთის გენერალი კანტაკუზინი ბულგარიის სამხედრო მინისტრად დაინიშნა.

კაირი. ცრუ-წინასწარმეტყველისაგან დამარცხებული არმიის დანარჩენმა მელდახინთან დაიბანაკა, სადაც სურსათი მიაქვთ მეგობარ ტომთა. გიკსა ფაშის სიკვდილი ნამდვილი გამოდგა; მასთან ერთად 3000 კაცი დაიღუპა.

## განცხადებანი

—

თბილისის ეპარქიალური სანთლის ზავოდის კამიტეტი.

მისის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის ნება-რთვით მოიწვევს მომავალის წლის იანვრის 25 რიცხვისთვის მსურველთა, იჯარით აიღონ წმინდა კოშტი სანთლის გათეთრება და მისი ჩამოსხმა. კამიტეტისგან მხოლოდ მოსამზადებელია ცვილი, პატრუქი და ვარაყი.

დაწვრილებით პირობებზედ მოსალაპარაკებლად 25 იანვრამდინ, ყოველ დღე შეუძლიანთ მსურველნი მობძანდნენ ხოლმე, თვით ეპარქიალურ წმინდა სანთლის ზავოდში სინოდალური კანტორის ეზოში. (3—1)

4,000 თეფში 1-ს სორტისა, ორი მანეთი დუჟინი! დანები ჩანგლებით. ჩაი 1-ი მოკრეფისა, მშვენიერი, 1 მან. 60 კაპ.; ხვედლების კანფეტები და მურაბა სხვა-და-სხვა სორტებისა, ესსენცია კაკაოსი, პიკულები, თოფები, რევოლვერები, ფლანგელები და სხ. ბევრი ინგლისის მაღაზიაში, აგრეთვე ყოველთვის ინგლისური და ფრანცუზული რკინის კრაოტები და სხვა საქონელი 30%. უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. (8—2)

გრიგუროვის წიგნის მაღაზიაში, ლონდონის გასტინიცის ქვეშე, ისყიდება წმ. ნინა მოციქულის სურათი ოლეოგრაფიული 50 კოპეიკათ, რომლისა ფასი წმ. ნინას საფლავს ეხმარების. (10—2)

ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25% -ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისაბანი, სტაქნები, ჰოფოფნიკები, საწვები, რიუმკები, გრაფინკები, სამშური, თეფშები, ბლუდები, სასანთლეები, ტემში ტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სადგმელები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, სახალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხათვანგები, ნიჩბები, ვატერპრუფები, საპნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—31)

ი ნ გ ლ ი ს ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

### თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—73)



### მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ს ა კ ლ ო ბ უ ს ო





კ ა ლ მ ე ბ ი

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისა ატკაისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—5)

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 დეკემბრიდამ 15 დეკემბრამდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ღორცი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. цензур. Тифлисъ, 14 Декабря 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი Ი. მაჩაბელი.